თბილისის დინამო" აგროვებს ქულებს

გუშინ ლ. პ. ბერიას სახელობის "დინამოს" სტადიონზე თბილისის დინამოელები მორიგ კალენდარულ მატჩში შეხვდნენ გორკის "ტორპედოს".

თამაში დაიწყო მასპინძელთა შეტევით და უკვე მეორე წუთზე სტუმრების საჯარიმო მოედანზე სახიფათო მომენტი შეიქმნა.

შემდგომში "დინამოს" თავდამსხმელები, რომელთაც კარგად ეხმარებოდნენ ნახევარმცველები პანიუკოვი და კილაძე, მტკიცედ დასახლდნენ "ტორპედოს" საჯარიმო მოედანთან.

ტორპედოელთა იერიშები მეტად ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა. სტუმართა თავდასხმის ლიდერი ვარელა საიმედოდ ჰყავდა ჩაკეტილი ძიაპშპას.

მიუხედავად აშკარა ტერიტორიული უპირატესობისა, თბილისელებმა ანგარიშის გახსნა მხოლოდ 42–ე წუთზე მოახერხეს კილაძემ ძლიერად დაარტყა კარში, ბურთი ფეხში მოხვდა თოდრიას და ბადეში გაეხვია.

მატჩის მეორე ნახევარს თბილისელები ტორპედოელთა კარის შტურმით იწყებენ მე–14 წუთზე თოდრიამ მარცხენა ფლანგიდან კარში ძლიერი დარტყმით გაგზავნა ბურთი და ა. პაიჭაძესთან ორთაბრძოლამ ბურთი მეკარესთან ერთად ბადეში აღმოჩნდა.

შემდგომში თოდრია ა. პაიჭაძე და ღოღობერიძე ადიდებენ ანგარიშს და მატჩი მთავრდება თბილისელთა გამარჯვებით – 5:0.

“ლელო”, 20.04.51